№ 271

პარასკევი, 15 დეკემბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 271

პარასკევი, 15 დეკემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## „ივერია"

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის" რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სატელეგრაფო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

## ივანე როსტომაშვილის გამოცემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავლობაში გამოვა 18 ახალი ქართული წიგნი და 1 ალბომი—«ქართველთა ტომნი» (грузинскія племена) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით.

პირველი ორი წიგნი—«მეთევზის შვილი» 12 სურათით და «შრომა, სიმდიდრე და ფულები» ადამ სმიტის სურათით, გამოვა ამ წლის საშობაოდ.

ფასი მთელის გამოცემისა: წლით—4 მანეთი, ნახევარის წლით—2 მანეთი. ალბომი გაეგზავნება მხოლოდ წლიურ ხელის-მომწერლებს.

ფული უნდა გამოიგზავნოს- Тифлисъ, Давид. пл. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (6—2).

## ქართული თეატრი.

კვირას, 17 დეკემბერს, 1895 წ.

მეექვსე გასტროლი

ეფ. ს. მესხისა.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ ეფ. მესხისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით პირველად

ახალი პიესა

### ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 5 მოქმედ. ვ. შექსპირისა, თარგ. კ. მესხის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ., ბ-ნნი კ. ყიფიანი, კ. მესხი, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე, შათირიშვილი, მჭედლიშვილი, საფაროვი, კარბელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 20 დეკემბერს, დანიშნულია ბენეფისი

ვლ. ალექსი-მესხიშვილისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** 10 დეკემბრიდამ შორაპნის სადგურიდამ მე 36-ე ვერსამდის მიდის მუშების მატარებელი. ყვირილის მცხოვრებლებმა და მწარმოებლებმა მიმართეს თხოვნით ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს, კვირაში ორჯელ მაინც დაენიშნათ სახალხო მატარებელი ყვირილიდამ შორაპნამდის. უფროსმა განკარგულება მოახდინა თურმეტ დეკემბრიდამ ყვირილასა და შორაპანს შუა სახალხო მატარებელი ატარონ ყოველ დღეს.

*** გუშინ-წინ ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა „მადამ სან-ჟენ" და „გულმა იგრძნო." წარმოდგენამ მეტად სასიამოვნოდ და მწყობრად ჩაიარა. შემოსავალი გადადებულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება ამ საქველ-მოქმედო აზრით გამართულს წარმოდგენას: თეატრი თითქმის სავსე იყო.

*** დღეს, პარასკევს 15 დეკემბერს, საღამოს 7½ საათზე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა სხდომაა დანიშნული. სხდომა განიხილავს მოხსენებას ს. მ. ზავროვისას „ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქში მოუსავლობის სამეურნეო მიზეზნი."

*** 14 დეკემბერს 1895 წ. დანიშნული იყო გასასყიდად ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობით 13 სოფლის მამული, აქედამ გაიყიდა 11 მამული, დარჩა ხელმეორე ვაჭრობით გასასყიდად 28 დეკემბრისათვის 2 მამული.

*** ხონიდამ სწერენ ადგილობრივს გაზეთებს, რომ იქაურის სემინარიის მასწავლებელთა თაოსნობით არსდება ხონში სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. შემდეგში ბიბლიოთეკის განყოფილებათა დაარსებასაც აპირებენ აქა-იქ სოფლებში. იქვე აპირებენ აგრეთვე სახალხო კითხვათა გამართვას.

*** დაურიგდა ხელის მომწერლებს დეკემბრის წიგნი ჟურნალ „მოამბისა", რომლის შინაარსი უკვე აღნიშნული გვქონდა ორის დღის წინად.

*** მოგვივიდა „მოხსენება" კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ტიპის შეცვლის პროექტის შემუშავება. ამ „მოხსენების" შესახებ ძალე მოველაპარაკებით მკითხველთ.

*** ხვალ, 16 დეკემბერს, საღამოს 7½ საათზე კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი სხდომაა დანიშნული. სხდომა განიხილავს მიმდინარე საქმეებსა და მოხსენებას ნ. ვ. პარიისკისას „რა მნიშვნელობა აქვთ სხვა-და-სხვა საშუალებათ ხერხემლისა და სხვა გაბრუნდებულ ნაწილთა გასასწორებლად" და ნ. ი. კამაევისას „წამხდარ კბილების ხელოვნურ კბილებით შეცვლის შესახებ, კბილებისა, რომლებიც შეიძლება სრულებით არ ამოიღონ ხოლმე". სხდომას შეუძლიანთ გარეშე პირნიც დაესწრნენ.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ განყოფილების კასსაში 1895 წ. პირველ ნოემბრისთვის იყო—34143 მ., და 19 კაპ., ნოემბერში შემოვიდა—1277 მ., 19 კ., იმავე თთვეში გაცემულ იქმნა—596 მ., 7 კაპ., პირველ დეკემბრისთვის დარჩა 34,824 მან., 31 კაპ.

ეს ფული ინახება: 1., სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების კასსაში მიმდინარე ანგარიშზე—1385 მან., 52 კ., 2., იქვე შემნახველ კასსაში—2,254 მ., 86 კ., 3., იქვე %% ქაღალდებად 31,129 მან. 72 კ., და 4., კასსაში ნაღდ ფულად 54 მან., 21.

ნოემბრის განმავლობაში თვალით ავადმყოფდა სამკურნალოში—ახლად უწამლეს—256 ავადმყოფს. ძველ და ახალ ავადმყოფთა რიცხვი—სულ იყო 2,053: ოპერაცია გაუკეთეს 53

## ფელეტონი

### შურისძიება.

(მოთხრობა იტალიელთა და აბესსინელთა ომიდამ).

(თარგმანი).

იტალიელებმა მაინც და მაინც თავისი გაიტანეს და ხანგრძლივის ომის შემდეგ, რომელშიაც მრავალი სისხლი დაიღვარა ორთავ ერისა, აბესსინელთ წაართვეს წითელი ზღვის პირად ნავთ სადგური მასსოვა. ომი დიდხანს არ შემწყდარა და მეტად გამწვავებულადაც იბრძოდნენ ორსავე მხრიდამ; ათასობით იღუპებოდნენ იტალიელნი; მაგრამ ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია, და გამარჯვება იტალიელთ დარჩათ. ეს ომი იტალიელთ ძვირად ულირდათ, მაგრამ უფრო ძვირად დაუჯდათ იგი აბესსინელთ: მათ ამ ბრძოლაში დაჰკარგეს ერთი საუკეთესო სარდალი — რასს-აული. ამ ამბავმა მრავალი სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმა გამოიწვია: ზოგნი ამბობდნენ იტალიელებმა მოწამლესო, ზოგნი კი—ღალატით იქმნა მოკლულიო; მაგრამ ასე იყო თუ ისე, მაინც მასსოვა უპატრონოდ იქმნა დაპყრობილი. აი, ერთი იმ ხმათაგანი, რომელიც დიდხანს დადიოდა წითელის ზღვის პირად; ეს თქმულობა ყველაზე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს.

პოლკოვნიკს სევირინის გენერლობა ყელზე ადგა: ძილში თუ ცხადლივ თვალ-წინ გენერლობა ედგა. ამ აზრით სევერინიმ მიატოვა ცოლ-შვილი და შუა-გულ აფრიკაში წავიდა აბესსინელებთან საბრძოლველად; იგი არავითარს საფრთხეს არ აქცევდა ყურადღებას, არ ეშინოდა იმ ათასგვარ საზარელის ავადმყოფობისა, რომლებიც იმ ჟამად მძვინვარებდნენ წითელის ზღვის პირად. სევირინისთან გაჰყვა მისი ადიუტანტი—ლეიტენანტი სირონი,—კაცი ბრიყვი და შეუგნებელი, რომელიც შავ-კანა ტომის ხალხს პირუტყვებადა სთვლიდა და რომელიც მათში არავითარს კაცობრიულს ღირსებასა და გრძნობას არა ჰხედავდა. მაგრამ აბესსინელთა საბედნიეროდ მას არც ძალა და არც შეძლება არ შესწევდა თავისით რამ შემოექმედნა. სხვა მრავალ ნაკლულევანებასთან სირონი საშინელი მხდალიც იყო და აფრიკაში მხოლოდ იმისთვის წავიდა, რომ იგი მხდალად არ ჩაეთვალათ. უფროსს იგი თავისზე უგუნურადა სთვლიდა და ამიტომ თავი მაღლა ეჭირა მასთან.

„აჰ! თუ ხელში ჩავიგდებ რასს-აულსა, — ფიქრობდა პოლკოვნიკი, რომ ამითი მთავრობისათვის თავისი მეცადინეობა და ერთგულობა დაენახვებინა. როდესაც იტალიიდამ მიდიოდა, შტაბში თითქმის ყურში გააგონეს, რომ გენერლობა მოგელისო, ოღონდ რასს-აული შეიპყაროო. პოლკოვნიკი ბევრს სცდილობდა, ბევრს ფიქრობდა, მაგრამ ვაი... რომ სამწუხაროდ!...ცდა ამაოდ ჰრჩებოდა: აბესსინიის მამაცი სარდალი დიდს ზარალს აძლევდა იტალიელთ ომში, ამარცხებდა და თითონ-კი მუდამ უვნებლად ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდამ. სასიხარულო ამბების ნაცვლად, სევირინი ქაღალდს ქაღალდზე აგზავნიდა სამშობლოში, მაგრამ აბესსინელთა დამარცხების შესახებ-კი არა, იგი სთხოვდა რაც შეიძლება მალე ჯარები მოეშველებინათ და ხალხის გაწყვეტას საშინელს ადგილობრივს ავადმყოფობას აბრალებდა. სამშობლოში ყველა შუბლს იჭმუხვნიდა, გაკვირვებით მხრებს იწევდნენ, მაგრამ... ჯარის-კაცთ მაინც აგზავნიდნენ.

იტალიელთა ბანაკში ოფიცრები ცოტანი იყვნენ და პოლკოვნიკი არასოდეს არა ბჭობდა ხოლმე მათთან; მისი მუდმივი მობაასე ადიუტანტი იყო, რომელსაც იგი დიდ გამჭრიახ კაცადა და კარგ მოხსენების შემდგენადა სთვლიდა.

—

წყნარი საღამო იყო; იტალიელთა ბანაკი ძილს მისცემოდა. პოლკოვნიკი სევირინი და მისი ადიუტანტი სირონი ერთად ისხდნენ და სევირინი წინა დღის ბრძოლას იხსენებდა. აბესსინელნი ჩვეულებრივად ლომებრ იბრძოდნენ და უწყალოდ ავლებდნენ მუსრს მტრებს; შეკრთნენ იტალიელნი და პირი იბრუნეს. ისმის ყვირილი, კვნესა, ტირილი, წყევა, მუდარა... გამწვავებულისა და ხანგრძლივის ბრძოლის გამო მტრებს საშინლადა სძულდათ ერთმანეთი და აღარ ინდობდნენ მებრძოლე მხარეს. რის გაჭირვებით, როგორც იყო, წესიერება ჩამოაგდო უფროსმა. ყველა ეს არაფერი სასიხარულო იყო პოლკოვნიკისათვის; იგი იჯდა მოღრუბლული, თვალნი კარვის ნაჩვრეტისათვის მიეშტერებინა და ბედს იწყევლიდა. ეხლა სევირინი სრულიად ჰკარგავდა იმედს, თუ რომ ის მთავრობის მინდობილებას-ღა აასრულებდა. აბესსინელთ ფიქრადაც-კი არ მოსდით მოწინააღმდეგეთ რამე დაუთმონ და გული არ მისწევთ მათკენ. ტყუილად ფიქრობენ იტალიაში, რომ აბესსინელთ რაიმე თანაგრძნობა ჰქონდეთ იტალიელებისა. პირიქით მათ სძულთ ისინი, ეზიზღებათ.

— აი, დალახვრა ეშმაკმა! რა იქნება, ნეტა, შემდეგში? ჰფიქრობდა სევირინი, რომ ამ დროს ადიუტანტის ხმა შემოესმა.

— მართლა, ლეიტენანტი ვიტოლი ხომ აღარსადა სჩანს, ჩაილაპარაკა ადიუტანტმა, რომელიც ამ დროს რაღაცა ქარტასა ჰშლიდა.

— როგორ, მოგვიკლეს?! შეწუხდა პოლკოვნიკი.

— არა მგონია, მოკლულთა შორის იმისი გვამი არ უპოვნიათ; ყველაზე უფრო ჰკუასთან ახლოა, რომ იგი ტყვედ შეიპყრეს,—დამშვიდებულად მიუგო ადიუტანტმა, თითქოს ლაპარაკი მკვდარს ან დაკარგულ ცხენზედა აქვსო.

— საუკუნოდ იყოს ხსენება მისი! აბესსინელები უთუოდ ცოცხალს არ გაუშვებენ, სთქვა პოლკოვნიკმა და ღრმად ამოიოხრა.

კაცს, რომელთაგან 24 იქვე, საავადმყოფოში, დააწვინეს და 29 გარედამ დადის.

## კორესპონდენცია.

**დაბა ხონი**, 30 ნოემბერი. სტიქიონის საოცარს ძალას, რომელიც ისე ულმობელად აოხრებდა მრავალ სოფლებს, დაბას და ქალაქებს, ძლიერ მხნედ დაჰხვდა ჩვენი „კოპწია“ ხონი; ამას ერთი შენობაც-კი არ უმსხვერპლია გალომებულ წყლისათვის, რომ მის კლანჭებიდამ თავი გადაერჩინა. მაგრამ ცხვირის გამოყოფა გარედ მაინც არ შეგვეძლო. მახლობელ სოფლებს ვინლა სჩივის, მახლობელ ქალაქს ქუთაისსაც-კი ვეღარ მივდიოდით. მოსხლეტილად ალქაფებულ მდინარედ იყო გადაქცეული, უმეტეს-კი სოფელ მაღლაკის იქით, მდინარე „ოლასკურას“ წყალობით გასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. ქალაქიდამ „მომავალი ერთი გლეხი კიდეც შთანთქა ამ პატარა „ზღვამ“. ღმერთმანი საკვირველიაა რა სასწაულები არ მოახდინა. ცოდნამ და მოხერხებამ, რა საოცარი ძალები და იმორჩილა ადამიანის მუყაითობამ, მხოლოდ ამ ოლასკურას დამორჩილებას არაფერი ეშველა! იმ ფულით, რომელიც ამ შოსსეს კეთებას მოუნდა, სხვები ზღვებს დააშრობდნენ, აქ-კი ისიც ვერ მოახერხეს, თუ არ მოახერხეს, რომ ამ პატარა „ღელეს“ რიგიანი მიმართულება მიეცეს, თავისს კალაპოტში ჩაავდონ და შოსსე შოსსეს დაამგვანონ.

დიაღ, ესაც გაძნელდა, თუმცა ყოველ წელიწადს ინჟენერი რამოდენიმე ასი კაცით ამ გზას „აპაჩინებს“. ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს, რადგან კიდევ ვფიქრობთ გაიხსენებენ პატივცემული პირები, რომ საზოგადო საქმეში ამნაირი მოქმედება ჩირქსა სცხებს მათს თანამდებობას საზოგადოდ და ამ გზის მკეთებელთ განსაკუთრებით.

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“, სწორედ ისე გვემართება ჩვენც. მოსავალმა ხომ გვიღალატა, ასე რომ ვისაც შარშან 40—50 გოდორი ყურძენი მოუვიდა, წელს 4—5-სთვისაც ღმერთს მადლობას სწირავს და ეხვეწება, გაისად ამას მაინც ნუ მომაკლებო. ყოველს ნაკლულევანებას ავად თუ კარგად გვერდს შეუვლის ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანი, მაგრამ ეს ჯანმრთელობაც საშიშრად გადაგვექცა, რადგან მთელს ამ მხარეში მალარია მძვინვარებს. ამას ზედ პირუტყვების ავადმყოფობაც დაერთო, რომელსაც ჩვენში „თურქულს“ ეძახიან. საქონელს პირსა და ფეხებს უჩირქებს, ბანცალს დააწყებინებს და ენაზე ტყავ-გადამძვრალი პირუტყვი საკვებს ვეღარ ეკარება.

დიაღ, ამისთანა გაჭირვებაში არიან მცხოვრებლები, რომელთა უსიტყვო მწუხარება სწორედ რომ ყურადღების ღირსია იმათთვის, ვისაც მოძმის წუხილი და გაჭირვება სავალალოდ მიაჩნია.

ა. წულუკიძე.

## წერილი მოსკოვიდამ.

გამუდმებული წვიმებით მანდ დაზარალებულთა სვე-ბედმა აქაც დაგვაფიქრა და ვცდილობთ შეძლების გვარად შემწეობა აღმოვუჩინოთ. ჩვენ (მე და დ. ზ. სარაჯიშვილმა) მივმართეთ გრაფინია პ. ს. უვაროვისას, რომ შესდგეს მისის თავმჯდომარეობით მოსკოვში კომიტეტი, რომელმაც აღმოაჩინოს წყარო, საიდგანაც შესაძლებელი იქმნეს დახმარება დაზარალებულ მცხოვრებთა საქართველოში. გრაფინიამ იტვირთა თავმჯდომარეობა და ამ ჟამად სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თუმცა კომიტეტი ჯერ არ შემდგარა, მაინც იმედია მოკლე ხანში ნება-რთვას მივიღებთ და საქმეს შევუდგებით. საჭიროა, რომ ტფილისში, ან ქუთაისში დაარსდეს ადგილობრივი კომიტეტი ზემოხსენებულისავე მიზნით, რომ აქედამ გაიბას მასთან მიწერ-მოწერა და შემოწირულებათა გაგზავნა. განზრახვა გვაქვს კომიტეტში წევრებად მივიწვიოთ როგორც ალებ-მიცემობის წარმომადგენელნი, აგრეთვე არისტოკრატიაც.

საერთო გაჭირვების და ტკივილის გარდა აქაურ ქართველ მოსწავლეთ თავიანთი ხელ-მოკლეობაც აწუხებს. იანვრის 21 უნდა გაიმართოს ჩვეულებრივი „ქართული სალამო“, რომელზედაც მოწვეულია მონაწილეობის მისაღებად ქ. გაბუნია-ცაგარლისა და იმედია უარი არ მოუვათ. პეტერბურგიდამ ჩამოვა „ქართული სალამოსთვის“ პოეტი ვ. ველიჩკო.

ა. ხ.

## ვენესუელის საქმე.

დღეს ვენესუელის საქმეზეა მიქცეული მთელი ევროპისა და ამერიკის ყურადღება. ამიტომ საჭიროა გავაცნოთ მკითხველებს, რაში მდგომარეობს ეს საქმე. 1814 წლიდამ ვენესუელისა და ბრიტანიის გვიანის რესპუბლიკის მართებლობა ნიადაგ თავიანთ ტერრიტორიის საზღვრების შემოფარგვლასა სცდილობდნენ. რასაკვირველია, ინგლისი, როგორც ძლიერი სახელმწიფო, სულ იმასა სცდილობდა ვენესუელასათვის რამე გამოეციცქნა და თავისს სამფლობელოსათვის შეეძინა, თუმცა ვენესუელა თავისის მხრით დიდ პროტესტს უცხადებდა ამგვარს მისს პოლიტიკას. ამ მდგომარეობაში იყო საქმე 80-იან წლებამდის, როდესაც დავაში ჩაერია შეერთებული შტატები და მოსთხოვა ინგლისს, რომ მედიატორეთა სამართალს მიენდოს ამ დავის გარდაწყვეტა. ინგლისში მაშინ გლადსტონის სამინისტრო იყო და ამ წინადადებაზე დასთანხმდა, მაგრამ სისრულეში-კი მაინც არ მოუყვანიათ, რადგან სულ მალე გლადსტონის სამინისტრო დაეცა. შემდეგმა სამინისტრომ, სოლსბერისამ, რასაკვირველია, უარი განუცხადა მედიატორეთა სამართლით საქმის გარდაწყვეტას. როცა როზბერმა დაიჭირა გლადსტონის ადგილი, სცდილობდა ვენესუელასთან მშვიდობის-ყოფლობით გაეთავებინა საქმე, მაგრამ ვერც ამან დაამთავრა საქმე, რადგან ამ დროს ბრიტანიისა და ვენესუელის იმ ჯარის-კაცთა შორის, რომელნიც საზღვარზე იდგნენ, შეტაკება მოხდა, რომელშიაც პირველნი იყვნენ დამნაშავენი. ამას მოჰყვა ისა, რომ ინგლისმა და ვენესუელამ გასწყვიტეს ერთმანეთ შორის დიპლომატიური კავშირი. შეერთებულ შტატების მართებლობა კიდევ ჩაერია საქმეში და სცდილობდა რამე ნაირად ორთავე მხარეს საქმე მიენდოთ მედიატორეთა სამართლისათვის. ინგლისი ამაზე დიდს უარს უცხადებდა. ასე იყო წრევანდლამდის. წრეულს-კი იანვარში კიდევ მოხდა შეტაკება: ბრიტანიის ჯარი არ აწებებდა ვენესუელის მცხოვრებთ ტყის გაკაფვას სადავო ადგილებში, ამიტომ შეიარაღებული და გამძვინვარებული ბრბო თავს დაესხა ინგლისის ბანაკს და ჯარის-კაცები ტყვედ წაასხა, თუმცა მალე-კი განათავისუფლა იგინი. ინგლისმა მოსთხოვა ვენესუელას დაკმაყოფილება, და როცა კარაკასის მართებლობამ უარი განაცხადა, ინგლისმა ულტიმატუმი წარუდგინა. მაშინ პრეზიდენტმა კრესპო შეერთებული შტატებისადმი მიიქცა და სთხოვა მოხმარება. შტატების მართებლობამ წარუდგინა ინგლისის მართებლობას ნოტა, რომელშიაც თხოულობდა მედიატორეთა სამართალს და თანაც მონროეს პრინციპზე აფუძნებდა თავისს მოთხოვნილების საფუძვლიანობას. მონროემ-კი ის პრინციპი წამოაყენა, რომ შეერთებული შტატები არასოდეს არ მისცემს ნებას არც ერთს ევროპიულ სახელმწიფოს, რომ თავიანთ სამფლობელოები გაავრცელონ ამერიკაში. ეს ნოტა ივლისში მოუვიდა ინგლისის მართებლობას, მაგრამ სოლსბერიმ დღემდის პასუხი არ უგო და განაცხადა, რომ მონროეს პრინციპით არ უნდა იხელმძღვანელოთ ვენესუელასა და ინგლისის შორის ატეხილს დავაშიო. ამ დღეებში ეს ნოტა და თანაც კლიველენდის ეპისტოლე, რომელიც პასუხი იყო ამ ნოტისა, კონგრესს წარუდგინეს. თავისს ეპისტოლეში პრეზიდენტი ამბობს, რომ სრულიად უსაფუძვლოა ინგლისის პრემიერის პროტესტი მონროეს პრინციპით ხელმძღვანელობის შესახებაო. „ის დოქტრინა, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ,—უგებს პასუხს ნოტას კლიველენდი—საფუძვლიანი და გონივრია. თუ გვინდა დავიცვათ მშვიდოაა და ნაციას ავაცილოთ საშიშარი მდგომარეობა, თუ გვსურს რომ ჩვენ დაწესებულებათა თავისუფლებას არავინ შეეხოს და ჩვენი მმართველობის თავისებურობა დავიცვათ, მაშინ ამ დოქტრინას მტკიცედ და შეურყევლად უნდა ვადგეთ. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ დოქტრინით ყოველს საჭირო შემთხვევაში და იგი ყოველთვის ახალი და ძლიერი იქნება, სანამ ჩვენი რესპუბლიკა არსებობს. სადა აქვს უკეთესი ადგილი ამ დოქტრინას, თუ არ ამ საქმეში, აქ ხომ სწორედ ერთი ევროპიელ სახელმწიფოთაგანი სცდილობს წააგლიჯოს ერთ ერთს ჩვენს კონტინენტზე მდებარე რესპუბლიკას ნაწილი ტერრიტორიისა.“ შემდეგ პრეზიდენტი ესაყვედურება ინგლისის მართებლობასა, რატომ არ დასთანხმდა მედიატორეთა სამართლის დანიშვნაზედაო. ეხლა რაღა დარჩენია შტატებს, თუ არ ის, რომ „შევურიგდეთ ეხლანდელს მდგომარეობასა და იმ შედეგებს, რომელიც მას მოჰყვება, და ამისდა მიხედვით როგორც რიგია ისე მოვიქცეთ“. შტატების მართებლობა უნდა მოიქცეს ენერგიულად და საბოლოოდ მოსპოს ვენესუელასა და ბრიტანიის შორის მუდმივი უთანხმოება. პრეზიდენტი სთხოვს კონგრესს კრედიტს კომისიის დასაარსებლად. ამ კომისიამ უნდა განიხილოს საზღვრების საქმე და რაც შეიძლება მალე წარმოადგინოს თავიანთი აზრი ამის შესახებ. „როდესაც ჩვენ ამ კომისიის აზრს გავიგებთო, მაშინ

---

გულში-კი ცოტა არ იყოს უხაროდა კიდეც: პატიოსანი და კეთილშობილი ლეიტენანტი დიდი სიმართლის მოყვარე იყო და ამიტომ ხშირად ეწინააღმდეგებოდა ხოლმე უფროსს.

— არა, მაინც მებრალება საწყალი, — მოღრუბლვით წარმოსთქვა ადიუტანტმა:

— ვიტოლი სანაქებო ახალგაზდა და კეთილი მეგობარი იყო.

— ო, რასაკვირველია!.. დაემოწმა უფროსი,—მაგრამ, აბა რას ვიზამთ? მკვდარს ვეღარ გავაცოცხლებთ...

პოლკოვნიკს მალე დაავიწყდა უბედური ლეიტენანტი და ეხლა ისევ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ დაათავოს ეს საზარელი ომი, მაგრამ დაათავოს ისე, რომ გამარჯვებული გამოვიდეს.

ადიუტანტმაც ქარტას თავი მიანება, კარავიდამ გამოვიდა, კარებში შედგა და დაკარგულ ამხანაგზე დაიწყო ფიქრი. იგი სწავლობდა ვიტოლთან ერთად, მასთან გაატარა ახალგაზდობის საუკეთესო წლები სამშობლოში... „მეცოდება! იფიქრა ადიუტანტმა, უთუოდ რაღაცა უბედურება დაემართა?“

ვიტოლს ჰყავდა დანიშნული, რომელიც განშორებისას თავს ვერ იმაგრებდა და ბაშვივით ქვითინებდა. ხოლო თვით ქალი უგრძნობლად დაჰყრდნობოდა საქმროს გულს და ვერ სძლებდა თავისს საყვარელს განშორებოდა.

მოაგონდა ყველა ეს ადიუტანტს, რომელიც ამ გამომშვიდობებას დაესწრო და უფრო ღრმა ფიქრს მიეცა.

ორი დღე გავიდა და ლეიტენანტი-კი არსადა სჩანდა. პოლკოვნიკი ეხლა სრულიად დარწმუნდა, რომ ვიტოლი მოკლული იყო და მისი სახელიც სამშობლოსთვის თავდადებულთა სიას ჩაურთო. ადიუტანტიც ამავე გარდაწყვეტილებას დაადგა და შიშით და ძრწოლით ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა ეცნობებინა ამხანაგის სიკვდილი მეგობრის საცოლოსათვის, როგორ დაემშვიდებინა და... ვინ იცის... ქალი რაღაც გაუგებარი ქმნილებაა... შეიძლება იგი მასზედაც გათხოვდეს...

II

სიცხე ჩავარდა. აგრილდა. დამაუძლურებელ სიცხის შემდგომ ასეთი სიგრილე კაცზე ძალიან კარგად ჰმოქმედებს. პოლკოვნიკი იქამდის კეთილი და დიდსულოვანი იყო, რომ ჯარის-კაცნი, რომელთაც უფრო ეტირებოდათ, აღარ ამღერა ჩვეულებრივად. მან გარდასწყვიტა ამ საღამოთი აღარ შეეწუხებინა ისინი. კარვის ერთი მხარე სრულიად დახურული იყო; შიგნით მაგიდას მოსხდომოდნენ პოლკოვნიკი და მისი ადიუტანტი, ტკბილად მუსაიფობდნენ და გამაგრილებელს სასმელს შეექცეოდნენ; ეხლა მათ სრულიად აღარ აგონდებოდათ დაკარგული ამხანაგი. მაგრამ დანარჩენი ოფიცრები-კი ჯერ ისევ თავისს საყვარელ მეგობარ ლეიტენანტზე ლაპარაკობდნენ. ამ ლაპარაკში სრულიად შეუმჩნევლად განთიადმაც მოატანა, რომ უცბად, მოულოდნელად, ბანაკში ლეიტენანტი ვიტოლი მივიდა ცხენით, სრულიად მრთელი და უვნებელი.

პოლკოვნიკს გულით უხაროდა საყვარელისა და კარგის ოფიცრის უკან დაბრუნება, რომელთა რიცხვიც უმისოდაც საგრძნობელად მცირე იყო მათს ბანაკში, ხოლო ადიუტანტს როგორღაც არ ესიამოვნა თითქოს: არც იმის თქმა შეიძლება, რომ მეგობრის დაბრუნება არ გაჰხარებოდეს, რომელსაც უკვე დაღუპულადა სთვლიდა, მაგრამ მისი ოცნება... სრულიად გაიფანტა.

ამავ დროს გახარებული ვიტოლი, რომ კვალად თავისს მემამულეთა შორის იყო, თავისს თავგადასავალს ამხანაგებს უამბობდა:

„გაცხარებული ომი გვქონდა; მე გამოვუდექი ერთს აბესინელს ჯარის-კაცსა, რომელიც უფროსი უნდა ყოფილიყო, ჩემის ფიქრით, და არც ძოვტყუვდი: იგი რასს-აულის ნათლული აღმოჩნდა.“ *)

„სრულიად შეუმჩნევლად, ბრძოლის დროს, მე ძალიან დაგშორებოდით. ერთბაშად ცხენმა წაიბორძიკა და მე სადღაც თხრილში გადამაგდო; იქამდის ძლიერად დავეცი და იქამდის მოულოდნელი იყო იგი ჩემთვის, რომ ერთ ხანად გონებაც-კი დავკარგე. როდესაც გონს მოვედი, მე მშვენიერს, რბილს ლოგინში ვიწექი. ჯერ მეგონა, რომ ჩვენს საავადმყოფოში ვწევარ-მეთქი, მაგრამ იქაურობა რომ დავათვალიერე, ვსცან, რომ შემცდარი ვიყავი. მე აბესსინელთა კარავში ვიყავი და როგორც გარეგნობიდამ სჩანდა, იგი მათის სარდლისა უნდა ყოფილიყო. აქ-კი ყველაფერი მომაგონდა, რაც-კი ცხენიდამ გადმოვარდნამდის თავს გადამხდა.

„ერთის ახალგაზდა აბესსინელ მეომრის მეოხებით მე, თქვენი უმორჩილესი მონა, სიკვდილს გადავრჩი. მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რამდენად ძლიერად ვძულვართ მათ. თუ ის ახალგაზდა მეომარი არა, კომბოსტოსავით დამკეფდნენ. ჩემს მხსნელს მიგრანაშას უწოდებენ; იგი ერთს წამსაც არა მცილდებოდა და ძმასავით მივლიდა და მეპყრობოდა.

„ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს შემთხვევაო, დაუმატა ვიტოლმა.

„იგი, როგორც მზრუნველი ძმა, მუდამ მივლიდა და იმ დრომდის არ გამომიშვა, ვიდრე დაცემისაგან დაყოლილმა ტკივილმა სრულიად არ გამიარა. თითონ რასს-აულიც რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან და მოწონების ნიშნად თავს უქნევდა ხოლმე

*) აბესინელთ ნათლული შვილივით ჰყავთ მიღებული. მიმრქმელი მისთვის უფრო მეტად ჰზრუნავს, ვიდრე სხვა ვისთვისმე. მშობლების სიკვდილის შემდგომ ნათლული გადაჰყავთ ნათლიის სახლში და ამის შემდეგ ნათლია ჰზრუნავს მათის ზნეობრივად და ფიზიკურად აღზრდისათვის. ნათლიის სახლში იგი ისეთსავე წევრადა ხდება, როგორც სხვები და კავშირდებიან სულიერის ნათესაობით. თვით მშობლების სიცოცხლეშივე მიმრქმელი ხშირად მივა ხოლმე ნათლულთანა და კითხულობს მისს მდგომარეობას, ხომ არა უჭირსრა. ერთი სიტყვით, ნათლული აბესსინელთ ძლიერ მიღებული ჰყავთ და ხშირად იგი უფრო ძალიან უყვარს მიმრქმელს, ვიდრე ღვიძლი შვილები.

მოვალე ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ და არავის გავაქელვინოთ ჩვენი ინტერესები, არავის გავაქელვინოთ ჩვენი უფლებანი. ჩვენ უნდა განვუცხადოთ სრული წინააღმდეგობა ინგლისის მართებლობას, თუ მოინდომებს უსამართლოდ დაკავებას ვენესუელის ტერრიტორიის ნაწილისასო. მე, რასაკვირველია, კარგად მესმის, თუ რა დიდ საქმეს ვკისრულობ ჩემს თავზე, როცა ამგვარ წინადადებას გიცხადებთ, და ისიც კარგად მესმის, რომ ამ წინადადებას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს. თუმცა დიდი სამწუხაროა, რომ ორი დიდებული ერი, რომელიც ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს, ყოველთვის თანხმად არ მოჰქმედებდნენ პროგრესისა და ცივილიზაციის გზაზე, მაგრამ თანაც ესეც მგონია, რომ დიდებულის ერის უსაშინელესი უბედურებაა, როცა იგი პასსივურად და გულ-გრილად თავს იხრის ბოროტებისა და უსამართლოების წინაშე, ე. ი. დაჰკარგავს ნაციონალურ თავ-მოყვარეობასა და პატივს, რომლის შემწეობითაც მხოლოდ შეიძლება დაცულ იქმნას ხალხის ბედ-იღბალი და მისი დიდება“.

## უცხოეთი

—

**ბულგარია.** „ზნამე“-ში, სწერია, რომ პრინცმა ფერდინანდმა დიდი საყვედური შეუთვალა თავისს პრემიერს სტოილოვს იმ ხმების გავრცელებისათვის, რომ ვითომ მის შვილს ბორისს მართლ-მადიდებლობა მიეღოს 18 იანვარს. ეს ხმები სრულიად უსაფუძვლონი არიან და ყოველივე ღონე მიიღე მათ მოსასპობლადაო.

—

**საფრანგეთი.** გაზეთი „Eclair“-ი და „Rappel“-ი ამბობენ, რომ არტონის დატუსაღების შემდეგ შესდგა სინდიკატი, რომელსაც უკანასკნელი გაზეთი უწოდებს „შიშის სინდიკატს“, იგი შეადგინეს ზოგიერთმა ფინანსისტებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომელნიც პანამის საქმეში არიან გარეულნი. ამ ასოციაციას თურმე მიზნადა აქვს შეკრიბოს ფული არტონის დამცველთა ჰონორარისთვის და მისი ოჯახობის შესაწევრად, თუ არტონი რიგიანად მოიქცევა და პირში წყალს დაიგუბებს, რომ ცოდვილთა სახელი არ წამოსცდეს. „Figaro“ გვაუწყებს, რომ არტონის ძებნის დროს 1893-ში იასსაში ხელში ჩაუვარდათ დოკუმენტები, რომლებშიაც ცხადად ჩანდა, რომ დამნაშავე ლონდონშია. ეს დოკუმენტები პარისში გაგზავნეს და არ შეიძლებოდა მაშინდელ მართებლობა არას სცოდნოდა მისი შინაარსი. მაგრამ საოცარი ისაა, რომ ამ დროიდამ არტონს აღმოსავლეთში დაუწყეს ძებნა და იმავე დროს ხმა გავრცელდა არტონი ტონკინში მოკვდაო.

—

ამ დღეებში ფინანსთა მინისტრი დუმე პატარა ქალაქ ირსონში იყო, პარისის მახლობლად მინისტრს რკინის გზის სადგურზე მიეგება მერი თვისის ამხანაგებითა და საქალაქო საბჭოს წევრებითურთ. ამ დროს ერთი მუშა მივიდა დუმესთან და შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „მე მოვედი, რათა მუშათა მონდობილობით გამოგიცხადოთ, რომ ჩვენ არ ვივიწყებთ მათ, ვინც ჩვენთვის თავგამოდებულია. იმ დღიდამ, რაც თქვენ მინისტრობა მიიღეთ, ჩვენ თვალყურს ვადევნებდით თქვენს შრომას, და ყველანი ვისაც ჩვენსავით შეუძლიან ანგარიში მისცეს თავისს თავს პარლამენტისა და იმ დაბრკოლების შესახებ, რომელიც თქვენ წილად გხვდებათ ხოლმე, მიხვდნენ, რომ თქვენი და თქვენთ ამხანაგთ იშვიათი გამჭრიახობა და დემოკრატიის სიყვარული უნდა გამოგეჩინათ, რომ შეჰბრძოლებოდით წარსულთა მფარველთ.

თქვენი მისწრაფება ეს არის: დაიფაროთ სუსტნი მძლავრთაგან და შემწედ გაუხდეთ დაჩაგრულთ შემავიწროებელთაგან. ეს კეთილ-შობილური მისწრაფებაა და თქვენის რესპუბლიკის დაარსების დღიდამ თქვენ პირველი ხართ, რომელმაც გაჰბედეთ და ხმა-მაღლა აღიარეთ საერთო უფლება არსებობისა. მუშანი სალამს გიძღვნიან და სრულს ნდობას გიცხადებენ: იარეთ იმ გზით, რომელიც აგირჩევიათ. გთხოვ, ბატონო მინისტრო, ეს სიტყვები გარდასცეთ თქვენს ამხანაგებს; და თუ ვინიცობაა თქვენს დანიშნულებას ვერ მიაღწიეთ და დამარცხდით, თქვენი უანგარო ღვაწლი მაინც ფრიად დიდი იქმნება დემოკრატიის წინაშე.

—

**ოსმალეთი.** „ტაიმს“-ის სიტყვით, ექვსს უმთავრეს სახელმწიფოთა ელჩებს კონსტანტინეპოლში გარდაუწყვეტიათ შეჰკრიბონ უტყუარი სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი კაცია მოკლული ან დაჭრილი და რამდენი ზარალი მოუვიდათ სომეხთ ოსმალეთში არეულობის დაწყების დროიდამ დღემდე.

—

**ბელგია.** ბრიუსელიდამ ამბავი მოვიდა, რომ სამხედრო მინისტრი სამსახურიდამ გადადგომას აპირებს, რადგანაც ჯარში მეტად ვრცელდება სოციალისტური მოძრაობა და მასთან ბრძოლა მინისტრს ვერ მოუხერხებიაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

ზემოდ ჩვენ დავბეჭდეთ ბ-ნ ა. ხახანაშვილის წერილი, სადაც გაკვრით ეხება ჩვენის სტუდენტების მდგომარეობას. ამავეს ეხება გუშინდელს „ნოვ. ობოზ.“-ს ნომერში ბ-ნი ა. კაჩ—ევი.

ერთი თთვეაო მას აქეთ, რაც მე ვთხოვდი საზოგადოებას შემწეობა აღმოეჩინა კავკასიელი სტუდენტებისათვის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთი თანაგრძნობის სიტყვაც არ გაგვიგონია. ამგვარი გულ-გრილი ქცევა მთელის საზოგადოებისა en masse შესახებ მოსწავლე ახალგაზრდობისა მწარე სევდებს გვგვრის.

ადამიანს აქვს ზოგიერთი მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობა არ მიეწერება არც დავიწყებასა და არც გულ-გრილობას... სხვა რომ არა იყოს-რა ვინც კავკასიელს სტუდენტს ეხმარება, ის მთელს კავკასიას ეხმარება: ერთი მეტი სტუდენტი შემდეგ იქნება ერთით მეტი მოღვაწე კავკასიაში უმაღლესი სწავლით აღჭურვილი და ეს ხომ კავკასიისთვის დიდს საჭიროებას შეადგენს.

ამის შესახებ მეთაურია იმავე გაზეთის იმავე ნომერში ამას წინედ მთელი დიდი წერილი გვქონდა დაწერილი. ვსწერთ და ვსწერთ ამ სტუდენტების შესახებ, დიდი პატარა და არა გვეშველა-რა. ჩვენმა საზოგადოებამ ვერ გამოიღო ყურიდამ ბამბა, რადგან ეშინიანთ ქარმა არ შეუბეროს და ყური არ აატკივოს. მერწმუნეთ, ისა სჯობს ისევ ყური ავიტკივოთ, ვინემ მთლად ერთიანად მოვისპოთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ყველას მოეხსენება რა საშინელი სნეულებაა სიჭლექე. ქალაქების მჭიდრო მოსახლეობა და სხვა და სხვა არა-ხელშემწყობი გარემოება ქალაქად ცხოვრებისა ბევრად ჰშველის ამ საშინელ სნეულების გავრცელებას. ეხლახან პარისში გამოსულა ერთი წიგნი ლეონ პტისა, საცა მოყვანილია ცნობები შესახებ სიჭლექის მეტ-ნაკლებობისა 662 საფრანგეთის ქალაქში. აქ გამორკვეულია რამდენი კაცი კვდება ყოველ წლიწ სიჭლექისაგან იმისდა მიხედვით თუ,—რამდენად დიდია ქალაქი მოსახლეობით, ანუ, უკეთ ვთქვათ, მკვიდრთა რიცხვით. ავტორი ამტკიცებს, ყოველ ქალაქში 100,000 კაცზე რომ ვიანგარიშოთ, გამოდისო, რომ ყოველ წლივ სიჭლექისაგან კვდებაო:

| ქალაქში, საცა მოსახლეა. | |
|---|---|
| 5000 სულზე ნაკლები . . . . | 181 |
| 5000—10,000-მდე . . . . | 216 |
| 10,000—20,000-მდე . . . . | 271 |
| 20,000—30,000-მდე . . . . | 288 |
| 30,000—100,000-მდე . . . | 305 |
| 100,000—430,000-მდე . . . | 365 |
| 2,424,705 (პარისი) . . . . | 490. |

რომ ქალაქებში მოსახლეობა ძალიან მატულობს და სოფლებიდამ ბევრი გამორბის ქალაქად ამ ჩვენს დროში,—ეს ყველამ იცის და საზოგადო მოვლენაა. ბოლოს ის გამოდის, რომ განდიდებას ქალაქებისას მოსდევს მატება სიჭლექისა, რომელმაც ყოველ სხვა ჭირს აჯობაო. მაგალითებრ, ხოლერისაგან საფრანგეთში 1832 წლიდამ დღევანდლამდე სულ 382,959 კაცი მომკვდარა, სიჭლექისაგან-კი ამავე დროში ექვსი მილლიონიო.

დიდ ქალაქებში ხუთს გადაცვლილზე ერთი სიჭლექით გადაცვლილი მოდისო. 100,000 კაცზე რომ ვიანგარიშოთ, სიჭლექისაგან კვდება თურმე მოსკოვში 454 კაცი, პეტერბურგში—456, ბუდაპეშტში—646, ლაიბახში—746 და სხვა.

სიჭლექის სენსა ჯერ წამალი არა აქვს და არც იმედია, რომ ამ ახლოხანში აღმოაჩინონო. ის-ღა დაგვრჩენია, რომ მარტო გიგიენურ და სანიტარულ საშუალებით შევაყენოთ მისი გაძლიერებაო. მაინც და მაინც დიდი იმედი არ არის, რომ ამ საშინელს სენს გამარჯვებით ვეომოთო. ერთი ღონეღაა ცოტად თუ ბევრად ხელი შეუშალოთ ამ სენსაო. ეს სენი ადამიანს ხშირად გადაედება ხოლმე რქოსან პირუტყვთაგანაო და ამ გზით ძალიან ვრცელდებაო.

ამ უკანასკნელ ხანებში მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ რძეს დიდი მონაწილეობა აქვს სიჭლექის გავრცელებაზეო. ეჭვი არ არისო, რომ უფროსი-ერთი მკვიდრთა შორის და ნამეტნავად ბავშვები ძროხის რძის წყალობით ამ სენით ავად-ხდებიანო. ერბოსა და კარაქსაც ეგევე მოსდევსო. ამიტომაც საჭიროა გავრცელება ამ სენისა შევაყენოთ მით, რომ რქოსანი საქონელი ამ მხრით ვსინჯოთ და ხნეული ჯანმრთელისაგან ვარჩიოთო. ამისათვის ერთად ერთი სახსარი და უეჭველიც—ტუბერკულინიაო. სიჭლექის პირველ ხანაში ტუბერკულინი უებარი რამ არის იმის შესატყობად, ავად არის რქოსანი პირუტყვი, თუ არაო. ეს საშუალება რომ ვიხმაროთ, ერთს დიდს მიზეზს სიჭლექის გავრცელებისას მოვსპობთო. (ვ. ი. ლ.)

— ერთი მოგზაური ერთს საოცარს ამბავს მოგვითხრობს. მოგზაური წასულა შოტლანდიაში, საცა მრავალი მშვენიერი ადგილებია და მრავალი ბუნების-მოყვარე კაცი მიდის თურმე სანახავად. იმ ადგილებში ერთი პატარა ქალაქია, სახელად ინვერნესი. ამ ქალაქის შორი-ახლო ერთი უშველებელი მამულია ლორდის სიფილდისა, რომელიც წელიწადში იძლევა ხუთმეტი ათასს თუმანს წმინდა შემოსავალს. შიგ მამულში მშვენიერი ციხე-დარბაზი და სრასასახლეა ლორდისა. „ხოლო რომ იკითხოთ, სად არის ამ მდიდარის და მშვენიერის მამულის პატრონი, ამბობს იგი მოგ-

---

თავისს ნათლულს, — კარგად მოიქეციო.

„მართლაც-და კარგი ხალხია. როდესაც სრულიად მოვრჩი, მშვიდობიანად გამომისტუმრა აქეთ... აი, მთელი ჩემი ისტორია“, მხიარულად დაასრულა თავგადასავალი ლეიტენანტმა.

ვიტოლის თავგადასავალის მოსმენის შემდეგ, რომელსაც დიდის ყურადღებით უგდებდა ყურს, პოლკოვნიკმა წარბები მაღლა ასწია და ჩაფიქრებულმა წარმოსთქვა:

— ჰმ!.. საკვირველია!.. მე ამ შავ-კანა ხალხისაგან სრულიადაც არ ველოდი ასეთს დიდსულოვნობას.

ერთის საათის შემდეგ, როდესაც ის და მისი ადიუტანტი სრულიად მარტონი დარჩნენ, ადიუტანტმა შეჰნიშნა, რომ ეს მტრების საქციელი დიდად სანაქებოაო.

— ნამდვილი ჭეშმარიტებაა! განიმეორა პოლკოვნიკმა.—მის დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ აბესსინელნი ჩვენს ოფიცერს ასე მოეპყრობოდნენ. გარწმუნებთ, მე სულ სხვაფრივ მოვექცეოდი.

რამდენადაც ცოტანი არიან ოფიცრები რაზმში, იმდენად გამარჯვება ძნელი მოსალოდნელია; და სჩანს აბესსინელებმა ჯერ არ იციან ეს სამხედრო საქმის დაწვრილებითი კანონები.

— დიაღ, მაგრამ ჰხედავთ რამდენჯერ დაგვამარცხეს,—მოწყენილისა და მოღუშულის კილოთი შენიშნა ადიუტანტმა,—თუმცა ესაც კარგა ვიცით, რომ სამხედრო აკადემიებში არ მიუღიათ სწავლა.

ამ უკანასკნელს სიტყვებში-კი ნამდვილი დაცინვა გამოიხატა.

პოლკოვნიკს როგორღაც არ ესიამოვნა და შეიშმუშნა.

— ეგ არაფერია,—სთქვა ბოლოს:—ჩვენ ვხედავთ ხოლმე ველური ხალხი იმარჯვებს, მაგრამ ბოლოს მაინც ევროპიელთა მოფიქრებულსა და გავარჯიშებულს ომს ვერ უძლებენ და მარცხდებიან...

ადიუტანტს წინააღმდეგი აღარა უთქვამს-რა; პოლკოვნიკი საშინლად მოიღუშა. სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ადიუტანტი, რაც შეეძლო, გახურებული შუბლს იწმენდდა და ესკი იმის ნიშანი იყო, რომ უთუოდ რაღაც სამძიმო საქმეზე ფიქრობდა.

ერთბაშად გახარებულმა შესძახა:

— ვაშა!.. მე ერთი რაღაც მოვიფიქრე, საუცხოვო რამ არის და უთუოდაც გავიმარჯვებთ.

პოლკოვნიკი შეკრთა და იმედიანად გადაჰხედა თავისს თანაშემწეს.

— აბა, აბა სთქვით!—ვნახოთ რა ფიქრია, შეეკითხა პოლკოვნიკი.

ადიუტანტი წამოდგა, კარავს გარს შემოუარა და როდესაც დარწმუნდა, ყურს არავინ გვიგდებსო, ჩურჩულით დაუწყო ყურში ლაპარაკი.

— ჩემი გეგმა საიმედოა და გამარჯვებასაც გვიქადის, რაღაცა საიდუმლოებითი კილოთი დაიწყო ადიუტანტმა ლაპარაკი. როგორც ვიტოლის ლაპარაკიდამა სჩანს, აბესსინელები, თუ-კი ამას საჭიროება მოითხოვს და ვიტოლი მათთან მივა, ისევე კარგად და ნდობით მოეპყრობიან, როგორც პირველად და ამიტომ უთუოდ ყურადღებით მოუსმენენ ყველას, რასაც-კი მისგან გაიგონებენ...

პოლკოვნიკმა ვერა გაიგო-რა და მხრები შეათამაშა.

— მომითმინეთ, მათქმევინეთ?—შენიშნა ადიუტანტმა.—ხვალ თქვენ უბრძანეთ ვიტოლს, სასტიკის კილოთი დაიწყო ახლა-კი ადიუტანტმა,—წავიდეს აბესსინელებთან და ყველა საშუალება იხმაროს, რომ მიგრანაშა აქ მოგვგვაროს... თუნდაც იმისთვის, რომ უკანასკნელად მოველაპარაკოთ შერიგებაზე. დარწმუნებული ვარ, აბესსინელს ამისი არ შეეშინდება და მოვა. თქვენ მაშინ ურჩევთ დაგვემორჩილოს და აღიაროს, რომ ეს ნავთ-სადგური ჩვენია, რადგანაც არა ერთი და ორი ცვარი, არამედ აუარებელი სისხლი დაღვრილა იმ ადგილას იტალიელთა მხრივ და ამიტომ საკმაოდ ძვირად გვიღირს იგი. მაგრამ თუ არ დაგვეთანხმდება, მაშინ... ადიუტანტმა სიტყვა აღარ დაათავა.

— მაშინ დავაპატიმროთ; მიგრანაშასთვის უთუოდ რასს-აული მოვა და საქმეს როგორც გვინდა, ისე გავაკეთებთ! მხიარულად შეჰყვირა პოლკოვნიკმა, დაათავა-რა ადიუტანტის სათქმელი სიტყვები; ადიუტანტმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

უფროსმა მადლობის ნიშნად ხელი მაგრად ჩამოართვა თავისს ღირსეულს თანაშემწეს.

როგორ, თქვენის ფიქრით, მოვა ვითომ ის ახალგაზდა მეომარი? ჩაეკითხა პოლკოვნიკი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ ეს ასე მოხდებოდა.

— თავს მოვიჭრი, თუ ასე არ მოხდება, სრულის ნდობით წარმოსთქვა ადიუტანტმა.

— განა იმათ-კი არ მოსწყინდებოდათ ეს დაუსრულებელი ომი.

— კარგი, ვცადოთ მაშ!.. ვნახოთ რა იქნება.

მოსაუბრეთ ერთმანეთს ხელი მეგობრულად და სიყვარულით ჩამოართვეს და კმაყოფილები წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებისაკენ.

პოლკოვნიკი რომ იძინებდა ამ საღამოთი სრულიად დამშვიდებული იყო და ჰგრძნობდა, რომ ის მძიმე ტვირთი, რომელიც მას ომის დაწყებიდგან დღემდის მოსვენებას არ აძლევდა, ძლივს მოეშვა, გაჰქრა და რამდენიც ღრმად უკვირდებოდა ადიუტანტის გეგმას, იმდენი უფრო და უფრო რწმუნდებოდა, გამარჯვება იმათ დარჩებოდათ.

პოლკოვნიკიც და ადიუტანტიც ორივე ფიქრში იყვნენ გართულნი საძილოდ რომ ემზადებოდნენ; პირველი ჰგრძნობდა, როგორ მოეხსნა ომის დაწყების შემდეგ მძიმე ტვირთად დაყოლილი დარდი, უკვირდებოდა ადეუტანტის გეგმას და სჯეროდა უეჭველი გამარჯვება; მეორე-კი ამაყობდა იმითი, რომ მთელს თავისს სიცოცხლეში ეს მხოლოდ ერთხელ მოიფიქრა რაღაცა სასარგებლო საქმე.

ინ-ანი.

(დასასრული იქნება).

ზაური: გეტყვიან, იგი აქ არ არისო. ნუ გგონიათ იგი იპოვოთ ან ლორდთა პალატაში, ან ლონდონის რომელსამე კლუბში, ან იტალიაში, ან პარისში, ან ერთობ იმისთანა სადმე, საცა მდიდარი ლორდები ატარებენ დროს და ჰფანტავენ ფულებსა. ლორდი სიფილდი ამერიკაში წასულა და იქ უპოვია საცხოვრებელი ადგილი. იგი გაჰქცევია თავისს სიმდიდრეს და თავისს ტიტულებს და ერთს ფერმაში მეძროხედ დამდგარა.

— მილორდ, რატომ თქვენს სიმდიდრეს თქვენვე არა ჰხმარობთ? ჰკითხავენ თურმე.

— ჩემს სიმდიდრეს? აკი ვხმარობ, უპასუხებს ლორდი და აჩვენებს რა ორსავ ხელს, უმატებს: აი ჩემი სიმდიდრე!

— სხვას მაინც უბოძეთ თქვენი შემოსავალი, ან რაიმე სამადლო საქმეს შესწირეთ, ეუბნებიან თურმე.

— რა უნდა ვაჩუქო და შევწირო, რაც არა მაქვს. მე შიშველი დავიბადე და შიშველივე მოვკვდები, ამბობს თურმე: ის მამული შოტლანდიაში მე არ გამიჩენია და მაშ არც პატრონი ვარ, რომ ავიღო და ვაჩუქო ვისმე. თუ ვისმე სხვას უნდა, წავიდეს და დაიჭიროს. ის მამული ჩემი არ არის.

„ძელი შოლტი უჭირავს და დასდევს უკან ძროხებს ერთს მივარდნილს ამერიკის ადგილებში. ფიქრადაც არ მოსდის იკითხოს ვის ხელშია და რა საქმე ემართება მის მშვენიერს ადგილ-მამულსა და სრა-სასახლესა. მისნი მახლობელნი და ნათესავნი, რომელთაც მთავრობისაგან ჩაბარებული აქვთ მოვლა და პატრონობა იმ მამულებისა, გიჟს ეძახიან ლორდ სიფილდს და ამას-კი აინუნშიაც არ მოსდის, ვინ რას მეძახისო.“ (ნ.)

## თეატრის მატიანე.

—

«წერა-კითხვის გამავარცელებელი საზოგადოების» სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაზე 13 დეკემბერს საზოგადოება ბლომად დაესწრო, თეატრი თითქმის გაივსო. ამ საღამოს განმეორებული იყო კომედია „მადამ სან-ჟენ“ და ვოდევილი «გულმა იგრძნო.»

კომედიაში უმთავრესს როლებს თამაშობდნენ ისევ ბბ. ეფ. მესხის ასული, კ. მესხი, გუნია და გედევანოვი, ხოლო მეორე ხარისხის როლებში ზოგიერთი ცვლილება იყო, თუმცა ამ ცვლილებამ ბევრი არა უშველა-რა პიესას და მის წარმოდგენას. იმის გარდა, რაც პირველად ვსთქვით ჩვენს „მატიანეში“ ამ პიესის წარმოდგენაზე, ეხლა ბევრს ალარას ვიტყვით. ბ. კ. მესხი გუშინ უფრო მოგვეწონა, მეტადრე მესამე მოქმედებაში, იგი საუცხოვო ნაპოლეონი იყო. ქ. ეფ. მესხის ასული მეტის სიცოცხლით და მეტის გრაციით თამაშობდა, ვიდრე პირველს წარმოდგენაზე. ბ. გუნია ისევ ისე კარგი მარშალი ლეჟევრი იყო, როგორც პირველად. ბ. გედევანოვი ფუშეს როლში პირველ წარმოდგენაში უკეთესი იყო.

ძველის-ძველმა ვოდევილმა „გულმა იგრძნო“, ქ. მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილმა, მხიარულად ჩაიარა.

ადმინისტრაციის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგზე: ქართულ თეატრში მოსიარულე საზოგადოება მოთმინებას დაჩვეულია, მაგრამ გუშინ-წინ ისიც მოთმინებიდამ გამოვიდა, ისე დიდრონი ანტრაქტები იყო.

ს—ი.

—

ოპერა. გუშინ-წინ, 13 დეკემბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში რუსულ საოპერო დასის-მიერ ბ-ნის მაინის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა „აიდა“ 4 მოქმედებიანი ოპერა, მუს. ვერდისა. რადამესის როლს ამ ჟამად თამაშობდა ბ-ნი მაინი, რომელმაც კარგად ჩაატარა იგი, თუ რომ ნაკლად არ ჩავთვლებთ ის, რომ სცენაზე მამოხვრა, გამოანგარიშებული და შეთანხმებული სხვა-და-სხვა მომენტთან, ცოტა არ იყოს უსიცოცხლო აქვს; მისს სახეზე ადამიანი ვერ აღმოიკითხავს ყველა იმას, რასაც გამოჰხატავს თვით მუსიკა. გარდა ამისა ხმა მართალია საკმაოდ ძლიერი აქვს, მაგრამ არ უჩანს იგი სიტკბოება, რომელიც იტაცებს ადამიანს და დროებით ნეტარებით უვსებს სულსა და გულს. რაც შეეხება დანარჩენ არტისტ-ქალთ და კაცთ, მათაც კარგად შეასრულეს თვისი როლები და ანსამბლი არ დაურღვევიათ. ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას და რამდენჯერმე გამოიწვიეს მოთამაშენი.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ვაჩნაძენი. საქართველოს მეფის გიორგის 1455 წლის 18 ოქტომბრის გუჯარში *) მეღვინეთ-ხუცესი ასან და შვილი მისი შალვა, ძმისწულნი მისნი: სულა, ივანე, სიოში და ბიძაშვილი მისი დავით ვაჩნაძე თავადებად არიან წოდებულნი.

თავად ვაჩნაძეთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან 1783 წ. შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

25 მარტს 1826 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან თავადნი ვაჩნაძენი: 1) იოსებ ასათის ძე; 2) ივანე ასათის ძე და შვილნი მისნი: გიორგი, დავით და როსებ (იოსები) და 3) ბაადურ ასათის ძე და შვილნი მისნი ალექსანდრე და მიხეილი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 18 მაისს 1855 წ. ამ გვარს შემოუერთდნენ ივანე იოსების ძე და ივანე ბაადურის ძე თავადნი ვაჩნაძენი.

სპარსეთის მეფის იმამ ყული-ხანის 12 აპრ. 1704 წლის ფირმანში ბებურ ვაჩნაძე და შვილნი მისნი: ზურაბ, დურმიშხან, გიორგი, ოთარი, თამაზ და გოჯასპირ თავადებად არიან წოდებულნი.

6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულ არიან დანარჩენნი თავადნი ვაჩნაძენი.

*) საქმეში ჩართულია ნამდვილი გუჯარი მეფის გიორგისა 1455 წლისა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 დეკემბერი.

**პარიზი.** გერმანიის ელჩმა მიართვა რესპუბლიკის პრეზიდენტს იმპერატორის ვილჰელმის ალლეგორიულის სურათის კოპიო, ამგვარი კოპიოები ხომ ყველა სახელმწიფოთა მმართველებისათვის არის დანიშნული.

**ტიურძი.** ზღვის ალპების დეპარტამენტის პრეფექტმა გარდასცა მემკვიდრე ცესარევიჩს მოკითხვა რესპუბლიკის პრეზიდენტისა.

**კონსტანტინეპოლი.** ბითლისის, სივასისა და არზრუმის ვილაიეტებში გუბერნატორებთან დანიშნულ იქმნენ მრჩევლები ქრისტიანთაგან. დაინიშნა ექვსი სასამართლოს ინსპექტორი, თითო მაჰმადიანი და თითო ქრისტიანი სამივე ვილაიეტებში.

14 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ გირაოთი გაცემულს სესხებზე აიღებს: სახელმწიფო 4% რენტის ქაღალდებზე $4\frac{1}{2}$%, დანარჩენს ქაღალდებზე $5\frac{1}{2}$%, საადგილმამულო ბანკების გირაოს ფურცლებზე 6%, დანარჩენს ქაღალდებზე, რომელთა გირაოდ მიღებაც აღკრძალული არ არის 7%.

**მოსკოვი.** სამეურნეო კრების მეოთხე განყოფილებამ განიხილა ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც შეიძლება სამეურნეო შემოსავლის გაძლიერება.

**ვლადივოსტოკი** («ნოვ. ვრემ.»). იოკაჰამიდამ იუწყებიან: ინგლისის ესკადრას, რომელიც წყნარს ოკიანეში იმყოფება, ბრძანება მოუვიდა მზად იყოს ამერიკისაკენ წასასვლელად. ინგლისს განზრახვა აქვს, მოახდინოს საზღვაო დემონსტრაცია, რათა ამით თავისდა სასარგებლოდ გარდასწყვიტოს ვენესუელას საქმე. ამავე დროს განკარგულება მოახდინეს ჰონკონგიდამ ყველა თავისუფალი სამხედრო გემი ჩინეთის ზღვაში გაიყვანონ და ამგვარად დაცულ იქმნეს ზღვის ძალთა თანასწორობა აღმოსავლეთში.

**ნიუიორკი.** ჰავანიდამ მოსული დეპეშა ამბობს, რომ 12,000 აჯანყებული ჰაკინის ახლო თავს დაესხა ესპანელთ, რომელთაგანაც 70 კაცი მოკლულ იქმნა. მეორე დეპეშა გვაუწყებს, რომ სხვა ადგილს ესპანელთ დაუმარცხიბიათ აჯანყებულნი.

ნიუიორკის ერთი გაზეთი დაეკითხა უელსის პრინცს და იორკის ჰერცოგს ვენესუელას საქმის შესახებ: „ჩვენა გვრწამს, რომ ეხლანდელი უსიამოვნება ორთავე მხარესათვის კარგად გათავდება და განახლდება ის მხურვალე მეგობრობა, რომელიც ჩვენს შორის კარგა ხანია არსებობს.


# განცხადებანი

კაბინეტი კბილის ექიმის

ი. ი. ფეიგინბერგისა

ბარიათინსკის ქუჩა, № 3, სადაც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ იმყოფება.

ხელოვნური კბილები—თვითო კბილი 2 მან. კბილის პლომბის გაკეთება—თვითო კბილზე 1 მან. წიგნაკი „კბილებს როგორ უნდა შენახვა“, თხზულება ი. ფეიგინბერგისა, უფასოდ ეძლევათ პაციენტებს.

(3—2088—2)

XII годъ изданія.

Открыта подписка на 1896-й годъ на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную газету

„СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ“,

Выходящую ДВА раза въ недѣлю и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго газета носитъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Безъ доставки и пересылки: | р. к. | Съ доставкой и пересылкой: | р. к. |
|---|---|---|---|
| На годъ | 4 50 | На годъ | 5 50 |
| „ полгода | 2 50 | „ полгода | 3 — |
| „ 3 мѣсяца | 1 50 | „ 3 мѣсяца | 1 75 |

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.

Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.

АДРЕСЪ: Ставрополь-Кавказскій, редакціи „Сѣвернаго Кавказа“.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1896 ГОДЪ

на новую политическую общественную и литературную

ГАЗЕТУ

„КАЗБЕКЪ“.

Газета будетъ выходить во владикавказѣ три раза въ недѣлю по воскресеньямъ, вторникамъ и четвергамъ

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1) Дѣйствія и распоряженія Правительства.

2) Статьи по экономическимъ, этнографическимъ, бытовымъ и другимъ вопросамъ, касающимся Кавказа вообще и Терской области по преимуществу.

3) Хроника: мѣстныя происшествія, извѣстія внутреннія и внешнія, съ указаніемъ ихъ источниковъ.

4) Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ и телеграммы.

5) Судебная хроника безъ обсужденія рѣшеній.

6) Фельетонъ, новости изъ области наукъ и искусствъ, повѣсти, разсказы, очерки оригинальные и переводные, статьи популярно-научнаго содержанія.

7) Смѣсь, справочныя свѣдѣнія и объявленія.

Подписная цѣна: съ доставкою во владикавказѣ на годъ 6 руб., на 6 м. 3 р. 50 к., на 3 м. 2 р. и на 1 м. 75 к., съ пересылкою по почтѣ на годъ 7 руб., на 6 м. 4 р. на 3 м. 2 р. 50 к. на 1 м. 1 р. отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписка и объявленія принимаются у издателя

СЕРГѢЯ ІОСИФОВИЧА КАЗАРОВА.

Издатель С. КАЗАРОВЪ. Редакторъ А. КОЛУБЕЙКО.

R. S. газета будетъ выходить съ Декабря мѣсяца 1895 г. и разсылаться годовымъ подписчикамъ безплатно.

მომავალ 1896 წელს

სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, ეკონომიის, სტატისტიკისა, ჰიგიენისა და საბეითალო

ყოველ-კვირეული ჟურნალი

„მეურნე“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა იმავ პროგრამით, წესითა და ფასად, როგორც დღემდის გამოდიოდა. ჟურნალს მომავალ 1896 წელს მუდმივს თანამშრომლობას გაუწევენ: თ-დი ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი, ანატოლი ვუჩინო, გრიგოლ გველესიანი, იოსებ გუნცაძე, არჩილ დარეჯანიშვილი, თ-დი ნიკოლოზ დგებუაძე, თ-დი ალექსანდრე თუმანიშვილი, ნიკოლოზ კურნალი, თ-დი ერმილე ნაკაშიძე, ვასილ სულხანიშვილი, არტემ ფირალოვი, ალექსანდრე შარაშიძე, რაფიელ ჩიხლაძე, დ. მაჩხანელი და სხვ.—ექიმები: გიორგი ბადრიძე, თ-დი ყარამან ჩიქოვანი და სხვ.

ჟურნალს დახმარება აღუთქვა ჩვენმა ცნობილმა პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა.

რედაქცია ეცდება მომავალ წელში უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ძვირფასი კულტურის მცენარეთა მოშენებას ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე დღემდის ჰქონდა მიქცეული ამ საგანს. სხვათა შორის მეურნეობის ამ დარგიდან ჟურნალს უმზადებს მომავალ წლისათვის ბ-ნი ანატოლი ვუჩინო ინგლისურ თხზულების თარგმანს:

ჩაი

მისი მოშენება და დამუშავება.

თარგმანს დამატებული ექნება ბ-ნი ვუჩინოს პრაქტიკული შენიშვნები ჩაის მოყვანის თაობაზე საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიაში და განსაკუთრებით ჩაქვში.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: რედაქციაში, გუგეთის ქუჩის გადასახვევში, ჭუონიას სახლი № 10 და წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილებიდან ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ ფულები და დაბარების წერილები: Кутаисъ. Въ Редакцію „Меурнэ“.

ჟურნალი ღირს: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან.


Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Декабря 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.